

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის
საბჭოს თავმჯდომარეს ქალბატონ ეთერ თურაძეს

განმცხადებელი:

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი
მწვანე ალტერნატივა

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 2010 წლის 2 და 3 ნოემბერს რამოდენიმე მედია-საშუალებაში გამოქვეყნდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

„გარემოსდაცვითი ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა" ინფორმაციით, ღვარცოფები დიდ საშიშროებას უქმნის საგარეჯოს, თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებს. სპეციალისტების მონაცემებით, ღვარცოფის შემთხვევაში აღნიშნულ რაიონებში დაზიანდება საავტომობილო გზები, სასოფლო - სამეურნეო დასახლებები, მწყობრიდან გამოვა საირიგაციო სისტემები.

„მწვანე ალტერნატივა“ მონაცემებით, სერიოზული საფრთხის წინაშე დგას ყვარლის რაიონი. სპეციალისტების თქმით, საშიშროებას მდინარე დურუჯი ქმნის. „ბოლო 100 წლის განმავლობაში დურუჯის ხეობაში 150-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და კოლოსალური ზარალი მიაყენა ყვარლის მოსახლეობასა და ეკონომიკას. ღვარცოფის გააქტიურება იზრდება და სტიქიური უბედურებების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სერიოზული ღონისძიებების გატარება“, - განაცხადეს გარემოსდაცვით ორგანიზაციაში.“

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია გამოქვეყნდა შემდეგ მედია-საშუალებებში:

1. გაზეთი „24 საათი“ (როგორც ბეჭდვითი, ისე ინტერნეტ-გამოცემა); იხილეთ:

<http://24saati.ge/index.php/category/news/2010-11-03/11036.html>

2. ახალი ამბების სააგენტო „ჯიეიჩენი“; იხილეთ: <http://www.ghn.ge/news-26191.html>

3. ინტერნეტ-გაზეთი „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“; იხილეთ: <http://ick.ge/ka/rubrics/ecology/3404-2010-11-02-10-33-21.html>

სამწუხაროდ, არცერთ შემთხვევაში არ არის მითითებული ჟურნალისტის ვინაობა, ამდენად, ჩვენთვის რთულია, დავადგინოთ, არის თუ არა ავტორი საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმძღვანელი.

სტატიაში მოყვანილი ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. „მწვანე ალტერნატივა“ არ გაუკეთებია მსგავსი სახის საჯარო განცხადება; არც მის რომელიმე წარმომადგენელს მიუცია ინტერვიუ ზემოთ მოყვანილი მედია-საშუალებებისთვის.

„მწვანე ალტერნატივა“ მიიჩნევს, რომ ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის გამოქვეყნებისას, ჟურნალისტმა (ავტორმა) დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შემდეგი დებულებები:

1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.

4. ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.

11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:

- *ფაქტის განზრახ დამახინჯება;*
- *ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;*
- *პლაგიატი.*

იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტი (ავტორი) საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრია, მან ქარტიის დებულებებთან ერთად, დაარღვია ასევე ქარტიის წესდება, კერძოდ, წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები, რომელთა თანახმად:

„ქარტიის წევრი მოვალეა:

(ა) დაიცვას ქარტიის წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

(ბ) გაუფრთხილდეს ქარტიის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;

(დ) პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს ქარტიის მიზნებითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით;

(ვ) ჟურნალისტური საქმიანობისას მიუთითოს საკუთარი სახელი და გვარი, ხოლო თუ იყენებს ფსევდონიმს, უზრუნველყოს მისი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.“.

მოგმართავთ თხოვნით, გამოიკვლიოთ ჩვენს საჩივარში მოყვანილი სტატიის ავტორის/ავტორების ვინაობა, განიხილოთ დარღვევის ფაქტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

განმცხადებელი:

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი
მწვანე ალტერნატივა

საკონტაქტო დეტალები:

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

მისამართი: ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართ., 0179 თბილისი

ტელეფონი: (995 32) 29 27 73

ფაქსი: (995 32) 22 38 74

ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org